

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 9

ქ.თბილისი

16 აპრილი 2014 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ.თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ე. ნაჭყებიას ლ. ჩიკვაძის, ი.ჩიქავას და მონაწილეობით მ/წლის 16 აპრილს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მთავარი მსაჯის გიორგი ტრაპაიძის მოხსენებითი ბარათი.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

ამა წლის 5 აპრილს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „ჩოხოსნები“-სა და თბ. „სტუ“-ს შორის. მატჩის მთავარი მსაჯის გ. ტრაპაიძის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, თბ „ჩოხოსნები“-ს მწვრთნელი ზურა მოგელაძე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი №1- ს 1.2 პუნქტით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. კლუბ თბ „ჩოხოსნები“-ს მწვრთნელი ზ. მოგელაძე დისკვალიფიცირებული იქნას 1 (ერთი) წლით.
2. კლუბ თბ „ჩოხოსნებს“ დააკლდეს 3 (სამი) საცხრილო ქულა.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1-ს 1.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ გამოყენებული იქნება ამავე პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

/ე. ნაჭყებია /

/ი.ჩიქავა/

/ლ. ჩიკვაძე/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/

